ახალი ხარაგაული

345 (4) 20 თებერვალი, 2017 წ

ვერტყვიჭალაში სასათბურე მეურნეობის განვითარება დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალაში სასათბურე მეურნეობის განვითარებას ჩაეყარა საფუძველი. იდეის ავტორი, ამავე სოფლის მკვიდრი 34 წლის ალექსანდრე ციცქიშვილია. თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებულმა ახალგაზრდამ ქალაქიდან მამაპაპისეულ სახლში დაბრუნება გადაწყვიტა და მცირე დანაზოგით პომიდვრის სათბური გააკეთა. ცხრაასი ძირი ჩითილი საკუთარი ხელით გამოიყვანა და ბუნებრივად განაყოფიერებულ მიწაზე გააშენა. მცირე მეწარმეების, ფერმერებისა და კოოპერატივების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამაში მას მონაწილეობა არ მიუღია. ყოველივე საკუთარი სახსრებით მოაწყო და მალე მეურნეობის ეს დარგი მისი შემოსავლის წყაროდ იქცევა. როგორც თვითონ ამბობს, სათბურის შექმნის სურვილი სპონტანურად ეწვია. დაუღალავი შრომითა და მეგობრების დახმარებით იდეა სისრულეში მოიყვანა.

,,სოფლის მეურნეობის კუთხით ნაკლებად ვიყავი დაინტერესებული, მხოლოდ ბებოსთან ჩამოვდიოდი ზაფხულობით დასასვენებლად. თუმცა სულ მინდოდა, ამ ულამაზეს ხეობაში რაღაც ღირებული შემექმნა და ჩემი რაიონი მესახელებინა,“-გვიყვება ალექსანდრე.

ახალგაზრდა მეურნე ამბობს, რომ საქმე საკმაოდ შრომატევადია, თუმცა შედეგის მისაღწევად მთავარი მონდომებაა. პირველი მოსავლის მიღებას ორ კვირაში

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ჟიჩულა-ჩუმათელეთის გზის პროექტირება იწყება

ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, მიმდინარე წელს ქვეყნის მასშტაბით მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება. როგორც ლურსმანაშვილი, ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რამდენიმე დღის წინ მოხდა ევროპის საინვესტიციო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ფარგლებშიც დაახლოებით 10 მილიონი ლარი მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯება, მათ შორის იქნება ხარაგაულიც.

მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობასა და ევროპის საინვესტიციო ფონდს შორის სხვა ხელშეკრულებაც გაფორმდა, რომლის ფარგლებში 250 მილიონი ევროა გამოყოფილი. ამ თანხის გარკვეული ნაწილი უბისა- შორაპნისა და საირმე-აბასთუმნის გზების მოდერნიზებას მოხმარდება.

რაც შეეხება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ძალზე მნიშვნელოვან პროექტს, ძირულა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციას, დეპუტატი ამბობს, რომ ეს გზა აზიის განვითარების ბანკის დახმარებით აშენდება.

,,აღნიშნული გზის პროექტირება უახლოეს მომავალში დაიწყება. გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,კოქსა“. ხელშეკრულების ფარგლებში, ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის 50 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის მომზადდება: დეტალური პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმის დოკუმენტები. პროექტი 9 თვეში უნდა მომზადდეს და მისი ღირებულება 1 231 566 აშშ. დოლარი და 1 249 030 ლარია. გზის რეაბილიტაციის შედეგად ამ ხეობაში მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება. ამოქმედდება სავაჭრო და ტურისტული ობიექტები, რაც მოსახლეობას დამატებით შემოსავლებს გაუჩენს.“-დასძინა კობა ლურსმანაშვილმა.

ეკა შავიძე

საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძემ, სოციალურად დაუცველი ოჯახების ჩვილებს საკვები პროდუქტები გადასცა

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ (დირექტორი ეკა შავიძე) ინიციატივით საერთაშორისო ასოციაციამ ხარაგაულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, ერთ წლამდე ასაკის, ბავშვებს საკვები პროდუქტი „ჰუმანა“ გადასცა.

საქველმოქმედო აქცია უკვე ორი წელია ხორციელდება და ამჟამად მასში ათი ბენეფიციარია ჩართული. ბავშვები, ვიდრე ერთი წლის ასაკს მიაღწევენ, მათთვის საჭირო რაოდენობის საკვებ პროდუქტ „ჰუმანას“ რეგულარულად მიიღებენ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძემ, ბორითის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის დედათა მონასტრის სულიერ დედებთან ერთად, ბავშვების მშობლებს საკვები პროდუქტები პირადად გადასცა.

შეგახსენებთ, რომ ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ და „ჰუმანა ჯორჯიას“ უკვე წლებია, გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც „ჰუმანას“ პროდუქცია ასოციაციის სახელით შედის საავადმყოფოებში, ასევე მას იღებენ სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები.

ხარაგაულში ახალგაზრდული საკრებულოს ახალ შემადგენლობას აირჩევენ

უკვე რამდენიმე წელია, არასამთავრობო ორგანიზაციის - „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“- ინიციატივით ხარაგაულში ახალგაზრდული საკრებულო ფუნქციონირებს. საკრებულო წელიწადში ერთხელ ირჩევა და იგი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების X, XI, და XII კლასების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებით კომპლექტდება.

მომავალი ახალგაზრდული საკრებულოს წევრები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, მანანა ბარბაქაძეს, შეხვდნენ. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მას ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდნენ.

ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ მოსწავლეებს საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები გააცნო და დასძინა, რომ პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ლიდერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათთვის თვითრეალიზებაში ხელის შეწყობაა.

შეხვედრაზე დავით კიკნაძემ ახალგაზრდული საკრებულოს დანიშნულებაზე ისაუბრა. მისივე თქმით, მსგავსი ტიპის აქტივობები ენერგიულ და მოტივირებულ ახალგაზრდებს განვითარებისთვის ფართო ასპარეზს მისცემს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მოსწავლეებს წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში და ადგილობრივ თვითმმართველობასთან აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

უახლოეს მომავალში ახალგაზრდული საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართება, სადაც ფარული კენჭისყრით საკრებულოს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და კომისიის თავმჯდომარეებს აირჩევენ.

ეკა შავიძე

სიახლეები საგანმანათლებლო სფეროში

13 თებერვალს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებთან თათბირი გაიმართა. შეხვედრაზე ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, იმ სიახლეების შესახებ ისაუბრა, რომლებიც უახლოეს მომავალში განათლების სფეროში განხორციელდება. ერთ-ერთი ახალი თემა სასკოლო ავტობუსის მძღოლების ანაზღაურების საკითხი გახლდათ. როგორც ვიცით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით 2013 წლიდან ახალი პროექტი ,,სკოლების ხელმისაწვდომობა“ ამოქმედდა. პროგრამა იმ საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, რომლებსაც სკოლამდე გადაადგილება დიდ მანძილზე უხდებოდათ. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მსოფლიოს შვიდ ქვეყანაშია და მათ შორის ერთ-ერთი საქართველოა. ამ დრომდე სკოლების სატრანსპორტო მომსახურებას ტენდერში გამარჯვებული კომპანიები უზრუნველყოფდნენ. თუმცა ისინი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ვერ ასრულებდნენ და მძღოლებს ანაზღაურებას უგვიანებდნენ. აქედან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მძღოლებს ხელშეკრულება სკოლებმა გაუფორმონ. ის სკოლები კი, რომელთა სატრანსპორტო მომსახურების თანხები წლიურად 5000 ლარს სცდება, ტენდერს თავად გამოაცხადებენ.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ვერტყვიჭალაში სასათბურე მეურნეობის განვითარება დაიწყო

▶1 გვ.

გეგმავს. რაც შეეხება პროდუქტის რეალიზაციას, ფიქრობს, რომ ამ მხრივ პრობლემა არ ექნება. ამის ერთ-ერთ არგუმენტად ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნას ასახელებს. ვარაუდობს, რომ 1კგ პომიდვრის სარეალიზაციო ფასი დაახლოებით 7 ლარი იქნება.

დროის დიდ ნაწილს იგი სათბურში ატარებს. ეტყობა, რომ საოცრად აქტიური და შრომისმოყვარე ადამიანია. საკუთარი ხელებით შრომას არ თაკილობს და ბიზნესის გაფართოებასაც გეგმავს. მას სოფლის ახალგაზრდობაც გვერდით უდგას და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს. მისი სურვილია, მომავალში რამდენიმე დაასაქმოს კიდეც.

,,ბევრი დავაინტერესე მცირე მეწარმეობით. მეამაყება, რომ მათ საქმის კეთების სტიმული მივეცი. ვფიქრობ, რამდენიმე დავასაქმო. მაგალითად, ვერტყვიჭალაში ცხოვრობენ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, რომლებსაც აქ მუშაობა თავისუფლად შეუძლიათ“.

ალექსანდრე ციცქიშვილი სამომავლოდ კიტრის სათბურის გაკეთებასაც ფიქრობს. მისი აზრით, ბოსტნეულის ეს სახეობა ცოტა რთული მოსავლელია, მაგრამ სწრაფად მოდის და მეტად შემოსავლიანია.

ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი წარმოების განვითარებას. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, რომელმაც ახლად გაშენებული სათბური პირადად მოინახულა, ამბობს, რომ ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით გარკვეული თანხები დაიხარჯება.

,,ასეთი რამ ორი წლის წინ ვნახე ჩინეთში და მიხარია, რომ ვერტყვიჭალაშიც იგივეს ვუყურებ. ალექსანდრემ ყოველივე საკუთარი ხელითა და რესურსებით შექმნა. ეს ადამიანი ნამდვილად მისაბაძი და დასაფასებელია. არის პერსპექტივა, რომ აქ ადგილობრივებიც დასაქმდნენ. მიყვარს და ვაფასებ მშრომელ პიროვნებებს“. - დასძინა გამგებელმა.

ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი, ლენა აბაშიძე, მოხარულია, რომ სოფელში ასეთი კარგი საქმე კეთდება და ახალგაზრდა მეურნეს გვერდით დგომას ჰპირდება.

,,ალეკოს მიწაზე არასოდეს უმუშავია და ყოველივე ეს მისგან წარმოუდგენელი იყო. რა თქმა უნდა ბიზნესს ახლავს რისკი, მაგრამ მან გარისკა და შედეგი სახეზეა. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს აუმაღლა შრომის მოტივაცია. ბევრს გაუჩნდა ახალი ბიზნეს-იდეები. მადლობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ დაინტერესდა მისი საქმიანობით და ახლოს გასაცნობად პირადად ესტუმრა. სიკეთე გადამდებია და მჯერა ბევრი მიჰბაძავს მას.“

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ბონდო კიკნაველიძე, ამბობს, რომ თუ ალექსანდრე კოოპერატივს შექმნის, მან შეიძლება 35 ათასი ევროს დაფინანსება მიიღოს.

,,სამწუხაროდ, ის ვერც ერთ პროექტში ჩაერთო. ერთ-ერთი შეთავაზება გვქონდა, აეღო 20 ათას ლარიანი სესხი 15 % -ში, აქედან 11%-ს სახელმწიფო, ხოლო 4%-ს თვითონ დაფარავდა, მაგრამ უარი განაცხადა. თუკი კოოპერატივს შექმნის, ვფიქრობ, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ დააფინანსებს. ასევე, თბილისში არის ისრაელის სამშენებლო ფირმა, რომელიც მსგავსი ტიპის სათბურების გაფართოებას უწყობს ხელს. იმედს ვიტოვებ, რომ იგი რომელიმე პროექტში აუცილებლად ჩაერთვება.“

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს. ამიტომ ამ სფეროს გაძლიერება დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. რაც მთავარია, შექმნის სამუშაო ადგილებს და აამაღლებს ადამიანთა კეთილდღეობას.

გვინდა, ჩვენი პატივისცემა გამოვხატოთ და წინსვლა ვუსურვოთ ჭეშმარიტ პატრიოტული საქმის თაოსნობისათვის ალექსანდრე ციცქიშვილს, რომელიც სამკვიდრო მიწის სიყვარულმა დააბრუნა ულამაზეს სოფელში, რათა ხვავი და ბარაქა შეემატოს შრომითი ტრადიციებით გამორჩეულ ჩვენს კუთხეს.

ეკა შავიძე

სიახლეები საგანმანათლებლო სფეროში

▶1 გვ.

თათბირზე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასკოლო ტრანსპორტის ყველა მძღოლი იგივე ანაზღაურებას მიიღებს, რაც აქამდე ჰქონდათ. სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში სკოლებმა მთელი სიზუსტით უნდა ასახონ და დაიტანონ რუქაზე ყველა რეისი, რაც ყოველდღიურად სრულდება. ამ საკითხის მოგვარებაში მათ კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტები (აიტ მენეჯერები) დაეხმარებიან. საკითხზე პასუხისმგებლობა დირექტორებსა და საქმისმწარმოებლებს ეკისრებათ.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ლალი სებისკვერაძე, შეხვედრაზე ახალი ინიციატივით გამოვიდა. მისი სურვილია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდეს იმ პედაგოგების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება, რომლებსაც შორი მანძილიდან უწევთ გადაადგილება. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა მიიღოს.

დავით კიკნაძემ რეორგანიზაციის შედეგად განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა. მისივე თქმით, სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ზესტაფონისა და ხარაგაულის რესურსცენტრებს ერთი იურისტი მოემსახურებათ,ხოლო ხარაგაულის,ზესტაფონის, თერჯოლისა და ტყიბულის რესურსცენტრებს-ერთი აუდიტი.

ლელა გუგულაშვილი

სარგვეშის გზის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს მომავალში განახლდება

ხარაგაული-ბაზალეთი-ღორეშაუბისის საავტომობილო გზის გარკვეული ნაწილი რეაბილიტირებულია. კერძოდ, ხარაგაულიდან ბაზალეთის მიმართულებით მოასფალტებულია 3 კილომეტრიანი გზა, ხოლო უბისიდან ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე - 7.5-კილომეტრიანი მონაკვეთი. ამ ხეობის შუა ნაწილში (სარგვეშის ტერიტორიაზე)დარჩენილია, მხოლოდ მძიმედ დაზიანებული და ამორტიზებული, დაახლოებით, 11 კილომეტრიანი გზა. გასულ წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ეს პროექტი დაფინანსდა და გზის მობეტონებაც დაიწყო. თუმცა სამშენებლო სამუშაოები მალევე შეწყდა, რამაც მოსახლეობის დიდი პროტესტი გამოიწვია. ადგილობრივების ინტერესის თემაა, რატომ შეჩერდა სარეაბილიტაცო სამუშაოები და როდის განახლდება. აღნიშნული საკითხის გასარკვევად ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატს, კობა ლურსმანაშვილს, დავუკავშირდით. იგი აცხადებს, რომ გზის მშენებლობა შეჩერებული არ არის და დროებითი შეფერხება ცუდმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა გამოიწვია.

,,გამოამინდების შემდეგ სამუშაო პროცესები განახლდება და არანაირი საფრთხე ამ მიმართულებით არ არსებობს. მოსახლეობა, რომელიც წლების განმავლობაში ელოდებოდა ამ გზის აღდგენას, შემიძლია, დავამშვიდო და ვუთხრა, რომ ყველაფერი დაპირებისამებრ იქნება. სჯობს, რეაბილიტაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობდეს, თუმცა პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა და უშუალოდ იგი ახორციელებს ზედამხედველობას. სამუშაოები ათი თვის განმავლობაში უნდა დასრულდეს და, ვფიქრობ, შემსრულებელი კომპანია ვადებში ჩაეტევა. ამ მონაკვეთის სრულად რეაბილიტირების შემდეგ აქ მცხოვრებლებს წლების განმავლობაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემა მოუგვარდებათ.“-დასძინა მაჟორიტარმა დეპუტატმა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტის ღირებულება 2 302 249 ლარია და მას ტენდერში გამარჯვებული აზერბაიჯანული კომპანია „თიჯარეთის ფილიალი საქართველოში“ ასრულებს.

ეკა შავიძე

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი შეუერთდა

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა აქტივობებით შეუერთდა. ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, მარინე ვეფხვაძის, ინიციატივით, მოეწყო ღონისძიება. ქალბატონმა მარინემ ანდრე მორუას წიგნი - „სასტუმრო „თანატოსი“ წაიკითხა, ისაუბრა წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. შეხვედრას პედაგოგები, მოსწავლეები და წიგნის მოყვარული ადამიანები ესწრებოდნენ.

,,ვუერთდებით წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს!“ - ამ სლოგანით გაიმართა ღონისძიება დაბის მესამე საჯარო სკოლაში, სადაც მოწვეული იყო ახალგაზრდა პოეტი შოთა გოლუბიანი. ამავე დღეს სკოლის დირექტორმა მარინე ხვედელიძემ და დაწყებითი კლასების პედაგოგებმა: თამარ სხილაძემ, ნანა კვინიკაძემ, ნანა ნებიერიძემ და ნინო ბუაჩიძემ პატარებს სხვადასხვა საინტერესო თემებზე შექმნილი ზღაპრები და მინიატურული მოთხრობები წაუკითხეს, რასაც მათგან მოწონება და აზრთა გაზიარება მოჰყვა.

,,ეს დღე მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ახალგაზრდები წიგნს არ დაშორდნენ. ადამიანის ყველაზე კარგი მწვრთნელი, ყველაზე კარგი აღმზრდელი წიგნია. სსიპ დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა შეეცადა, სხვადასხვა აქტივობებით მოსწავლეებისათვის გაეღვივებინა წიგნის სიყვარული. ყველა კლასმა გააკეთა კედლის გაზეთი და შევხვდით ახალგაზრდა პოეტს“, - დასძინა სკოლის დირექტორმა მარინე ხვედელიძემ.

ღონისძიების დასასრულს ამავე სკოლის წარმომადგენლებმა ხარაგაულის ქუჩებში მსვლელობა მოაწყვეს და წიგნის საჯაროდ კითხვის დღე განსხვავებულად აღნიშნეს.

ამ მშვენიერ დღეს შეუერთდა, ასევე ხარაგაულის ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“. ღონისძიებათა ორგანიზატორის, ირმა სებისკვერაძის, ხელმძღვანელობით საბავშვო ბაღებში მოიწვიეს სტუმრები და აღსაზრდელებთან ერთად მათი ასაკის შესატყვისი ზღაპრები წაიკითხეს.

წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს მსოფლიო 2010 წლიდან აღნიშნავს. საქართველოში კი ეს თარიღი, გასულ წელს, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივითა და LitWorld მხარდაჭერით დაწესდა.

ეკა შავიძე

რეგიონული განვითარების ფონდში დასაფინანსებლად ოთხი პროექტი გაიგზავნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის, აქტიური მუშაობით რეგიონული განვითარების ფონდში გაგზავნილ პროექტების ნუსხას კიდევ ოთხი ახალი პროექტი დაემატა. სოფელ ლაშის იგორეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (276 300 ლარი), ხიდარში სკოლასთან მისასვლელი გზის მობეტონება (65 000 ლარი), ნადაბურში ც. გელაშვილისა და ნ. გელაშვილის სახლებთან საყრდენი კედლის მოწყობა (55 000 ლარი) და გოლათუბნის ცენტრალური გზის (500 მეტრი, 53 700 ლარი) რეაბილიტაცია-ეს იმ პროექტების ჩამონათვალია, რომლებიც მუნიციპალიტეტმა რეგიონული განვითარების ფონდს დასაფინანსებლად წარუდგინა. მათი საერთო ღირებულება 450 000 ლარს შეადგენს, ადგილობრივი ბიუჯეტი კი თანადაფინანსების სახით 22 800 ლარს გამოყოფს.

რეგიონული განვითარების ფონდში წარსადგენ პროექტთა ნუსხაში შესატან ცვლილებებს კენჭი 16 თებერვალს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ეყარა.

ოჯახის საყრდენი ცოლ-ქმარს შორის სწორი ზნეობრივი ურთიერთობაა

14 თებერვალს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ,,ვალენტინობას“ აღნიშნავენ. ამ დღის ასოცირება რომანტიკულ სიყვარულთან ჯეფრი ჩოსერის მიერ შუა საუკუნეების მიწურულს მოხდა. თუმცა მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ეს დღესასწაული უცხოა. ჭეშმარიტი სულიერი სიყვარულის დღე საქართველოში 16 ივლისს, გერგეტობას, აღინიშნება, რომელიც ,,საყოველთაო სიყვარულის დღედ“ უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, ილია მეორემ, 1980 წელს გამოაცხადა. ეკლესია ცოლქმრულ ცხოვრებას წმინდა კავშირად მიიჩნევს. ამ ღამაზი ფუძის საყრდენი კი ცოლ-ქმარს შორის სწორი ზნეობრივი ურთიერთობაა. ოჯახი ის გარემოა, სადაც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება, აქ ეზიარება იგი რწმენასა და სიყვარულს, აქ ღვივდება მისი სული და იქცევა პიროვნებად. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ოჯახი თანდათან კარგავს ამ ღრმა აზრს, ბოლო პერიოდში უფრო შემაშფოთებელია მისი რღვევის ნიშნები...საბედნიეროდ, ჩვენს გარშემო ჯერ კიდევ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი სიყვარულით, ერთგულებით და გულწრფელი ურთიერთობებით... რა არის მთავარი სიყვარულის შენარჩუნებისთვის, ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერებისთვის, ამ თემებზე სასაუბროდ ორი არაჩვეულებრივი წყვილი შევარჩიეთ. ჩვენი რუბრიკის რესპონდენტები, მეუღლეებთან ერთად, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე შალვა ლურსმანაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძეა.

შალვა ლურსმანაშვილისა და ცაგო ჯოხაძის ოჯახი 22 წლის წინ სიყვარულით შეიქმნა. მიუხედავად ბევრი სირთულისა, მათ ყველა პრობლემების გადალახვა შეძლეს და

შალვა ლურსმანაშვილი ოჯახთან ერთად

დღეს სამ არაჩვეულებრივ ვაჟკაცთან ერთად ბედნიერად ცხოვრობენ.

შალვა: მე და ცაგო ერთ სკოლაში ვსწავლობდით, დამამთავრებელ კლასში ვიყავი, როცა მის მიმართ განსხვავებული გრძნობა გამიჩნდა. მხიბლავდა მისი მუსიკალურობა, კომუნიკაბელურობა, დამოკიდებულება ადამიანებთან. სკოლის დამთავრებიდან ხუთ წელიწადში დავქორწინდით და ვფიქრობ, დღეს სამაგალითო ოჯახი გვაქვს. არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ დროის გასვლის შემდეგ სიყვარული ნელდება, პირიქით, უფრო ძლიერდება.

ცაგო: შალვა ძალიან გაწონასწორებული და მშვიდი ადამიანი იყო ბავშვობიდანვე. გამორჩეული გარეგნობითა და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული. ჩვენი შეუღლების პერიოდი მძიმე წლებს დაემთხვა, გადავლახეთ ბევრი დაბრკოლება, რაშიც სიყვარული დაგვეხმარა. ოჯახის სიძლიერისთვის მთავარი ერთგულება და ურთიერთპატივისცემაა. პატარა კონფლიქტები ყველგანაა, მაგრამ ჩვენ შორის სერიოზული გაუგებრობა არასოდეს მომხდარა.ერთადერთი, შვილების გამო თუ ვიკამათებთ.

შალვა: იმისთვის, რომ მყარი და ძლიერი ოჯახი შედგეს, აუცილებელია ორივეს ძალისხმევა. ცოლ-ქმარი უნდა გაუფრთხილდეს ერთმანეთს, უშეცდომო არავინაა, მთავარია, შეცდომის აღიარება და მიტევება შეგვეძლოს...

ცაგო: სამი შვილი გვყავს, ორი სტუდენტია, პატარა კი სამი წლისაა. მათე ისეთ ასაკში შეგვეძინა, ვთვლი, რომ ნამდვილად ღმერთის საჩუქარია. მისმა დაბადებამ ბევრი რამ შეცვალა და ცხოვრება გაგვიხალისა. ფეხმძიმობის დროს, ერთ საღამოს, შალვა სახლში მოვიდა და მითხრა: ,,ცაგუნია, აი ეს საჩუქარი შენ ჩემგან, მესამე შვილს რომ მიჩენ“ და ძვირფასი ბეჭედი მაჩუქა. მიუხედავად იმისა, რომ უყვარს სიურპრიზები, ამას არ ველოდი. ცოტა უხერხულია დედისგან შვილების ქება, მაგრამ მიმაჩნია, კარგი ბიჭები გვყავს. მამასთან უფრო მეგობრობენ. მე კი ხშირად სიმკაცრეს ვიჩენ. ამჟამად შალვა ხარაგაულში მუშაობს და ჩვენ თბილისში ვართ, მაგრამ ეს ნამდვილად არ უშლის ხელს ოჯახურ ბედნიერებას. უფრო მეტი ემოციებითა და სიურპრიზებით სავსე გახდა ცხოვრება. ყველა შეხვედრა განსაკუთრებულია. შალვას რომ ველოდები, განსხვავებულ სადილს ვამზადებ, ბიჭები მაშინვე ხვდებიან, რომ მამა მოდის... ნამდვილად ბედნიერი ქალი ვარ და თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას, არაფერს შევცვლიდი...ბავშვები სულ ხუმრობენ და ,,მარადმწვანე შეყვარებულებს“ გვეძახიან. მინდა, მათაც ასე გამართლებოდეთ ურთიერთობებში. მჯერა, უფლის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება...

შალვა: როდესაც გიყვარს და უყვარხარ, არ არსებობს ამაზე დიდი ძალა. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი, ჩვენი ჯვრისწერის დღეა. ბედნიერი კაცი ვარ,რომ მყავს შესანიშნავი მეუღლე და სამი შვილი. მინდა, ერთად გატარებული ყოველი წუთისთვის ცაგოს მადლობა ვუთხრა...

დავით კიკნაძე და ია ტაბატაძე 7 წლის წინ შეუღლდნენ. ჰყავთ ქალ-ვაჟი და სულ მალე მათ ოჯახს კიდევ ერთი პატარა შეემატება.

ია: ერთმანეთი რესურსცენტრში გავიცანით. მალევე მივხვდი, რომ დათოს ჩემ მიმართ სიმპათიები გააჩნდა. ეს

დავით კიკნაძე ოჯახთან ერთად

ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და ოჯახიც შევქმენით. დავითი დღესაც ისეთივე გულწრფელი და ღირსეული ადამიანია,როგორიც შეუღლებამდე იყო. ბევრი საერთო ადამიანური თვისება აღმოგვაჩნდა. ერთად ცხოვრება გვსიამოვნებს და ერთმანეთის გარეშე არსებობა წარმოუდგენლად მიგვაჩნია. შვილებმა კიდევ უფრო მეტად შეგვაყვარა და დაგვაკავშირა ერთმანეთს.ოჯახის სიმტკიცისთვის მთავარია სიყვარული,ურთიერთპატივისცემა და დათმობა ...

დავითი: ,,სიყვარულია თავად ღმერთი“ - სადაც ეს გრძნობაა, პრობლემებიც ნაკლებია. თუ რა ვალდებულებაა ოჯახი, ეს ხშირად ავიწყდებათ. ურთიერთობების დანგრევა ადვილია, სიყვარულის შენარჩუნებაა რთული. ვფიქრობ, ის ადამიანები ანგრევენ ოჯახს, ვინც ამ ვალდებულებებსა და სირთულეებს გაურბიან. მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ჩემთვის წმინდაზე წმინდაა ოჯახი. მყავს ორი შვილი, ველოდებით მესამეს, რომლებიც აძლიერებენ და ალამაზებენ ცხოვრებას.

ია: ურთიერთობებში პრობლემები არასოდეს გვქონია, ისეთ ასაკში გადავდგით ეს ნაბიჯი, ყველა სირთულის დაძლევისთვის მზად ვიყავით. ვმუშაობდით, ფინანსურად სხვაზე დამოკიდებული არასოდეს ვყოფილვართ, ყველაფერი ჩვენი შრომით შევქმენით. დავითისგან სიყვარულს ყოველ წამს ვგრძნობ. მართალია, ხშირად დაკავებულია თავისი საქმიანობით, მაგრამ მაინც ახერხებს ჩვენთვის დროის გამონახვას.ვცდილობთ, ერთმანეთს ცხოვრება გავულამაზოთ...

დავითი: თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობ, რადგან მყავს ღირსეული მეუღლე, რომელიც მუდამ გვერდით მიდგას, მეხმარება და დადებითი ენერგიით მავსებს... ჩვენ არ შევუშინდით ეკონომიურ სირთულეებს. ერთად ყველაფერი უკეთ შევძელით. მთავარია, სწორად ჩავწვდეთ ერთმანეთის შინაგან სამყაროს და არასოდეს გადავდგათ ჩვენი გვარიშვილობისა და ოჯახისთვის შეუფერებელი ნაბიჯი.

ლელა გუგულაშვილი

ღიას, გაიგონეს, უეჭველად გაიგონეთ!..

სიმონიკა ბერეჟიანი

ვის სმენას არ მისწვდომია საოცარი პატრიოტული გრძნობით დატვირთული სტრიქონები:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი
ჭირის უფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს,
გავიხარო...
თუ საქართველო არ იქნება თავის უფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს
მთელი სამყარო...“

აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ამ მგზნებარე სტრიქონების (რომლებიც ბოლოს თითქმის წყევლა-კრულვასთანაა შეზიარებული) ავტორად საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის პრეზიდენტი, ნოე ჟორდანია, იყო მიჩნეული. თუმც დაინტერესებულ პირთა მიერ საარქივო ძიებამ ნამდვილ ავტორთან შეგვახვედრა...

ესაა საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული სიმონიკა ბერეჟიანი, რომელსაც მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ემიგრანტული მთავრობის წევრებთან.

საყურადღებოა, რომ მასვე ეკუთვნის საქართველოზე, მის საამაყო შვილებზე, შექმნილი პოემა „პაემანი მთაწმინდაზე“ (ალბათ თავმდაბლობის გამო ავტორი ამ ვრცელ თხზულებას ლექსად მოიხსენიებს).

სიმონიკა ბერეჟიანს ემიგრანტ ვახტანგ ღამბაშიძის უბის წიგნაკში ასეთი რამ ჩაუწერია: „არვინ იცის, რას მიმზადებს წუთისოფელი... მაგრამ, სადაც არ უნდა იყოს ჩემი საფლავი, აუცილებლად ჩამომწვდება ხმა, თუ ჩემს ლექსს „პაემანი მთაწმინდაზე“ ჩემი თბილისიდან, მთაწმინდიდან წამიკითხავენ.“

სამწუხაროდ, სამშობლოდან მოწყვეტილი ემიგრანტი ქართველთათვის „მეორე მთაწმინდად“ მიჩნეულმა ლევილის სავანემაც ვერ შეიფარა, დაუნდობელმა საწუთრომ მისი საფლავი მიუგნებელი გახადა...

„საქართველოს გულდამწვარო ჭირისუფალო!“

- მინდა გახაროთ, საფლავში ჩაყოლილი ნატვრა თქვენ აუცილებლად აგისრულდებათ. მას ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ნიჭიერი მესაჭე, ქალბატონი იზა ვეფხვაძე, აგისრულებთ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის (თავმჯდომარე პროფესორი გოგი დოლიძე) ხარაგაულის ორგანიზაციის წევრი მოსწავლე - ჩოხოსნები აგისრულებენ. ისინი ინტერესით ეწაფებიან „შინმოუსვლელი“ მამულიშვილის პოეტურ სტრიქონებს და გულში სათუთად იმეორებენ:

- იძინე მშვიდად, საქართველოს ბედნიერ აწმყოზე მეოცნებე, ქართველო რაინდო! სადაც არ უნდა იყოს თქვენი სამუდამო სავანე, ჩვენ მას მთაწმინდიდან ავახმიანებთ, თქვენ კი ჩვენს წკრიალა ხმებს გაიგონებთ, უეჭველად გაიგონებთ!

P.S. მკითხველს მინდა ვაცნობო, რომ ემიგრანტ სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნის საღამო ქალბატონ იზა ვეფხვაძის თაოსნობით ჯერ ხარაგაულში გაიმართება, ხოლო შემდეგ ხარაგაულელი ჩოხოსნები მთაწმინდას ეწვევიან, ემიგრანტ პოეტს ნანატრ პაემანს აუსრულებენ და მის წმინდა სულს მამადავითს შეავედრებენ...

მერი გიორგიძე

„სიყვარულის ხეივნები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაშენდება

„სიყვარულის ხეივნები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში - ასე ეწოდება ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორის, იზა ვეფხვაძის, ახალ ინიციატივას, რომლის შესახებ ის საკუთარ facebook გვერდზე წერს.

ინიციატივის ფარგლებში, პირველი „სიყვარულის ხეივანი“ მარტის დასაწყისში ქუთაისში გაშენდება. იმ დღესვე გაგრძელდება აქცია წყალტუბოში, ოტია იოსელიანის ეზოში.

„მინდოდა, პირველი „სიყვარულის ხეივანი“ იმერეთის გულში გაშენებულიყო,“ - ამბობს ქალბატონი იზა და ქველმოქმედის დახმარებით პირველი ხეივნის გაშენებას ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში გეგმავს.

ლიტერატურული თეატრის დირექტორი ახალ იდეას სოციალურ ქსელში ერთი წლის წინ წამოწყებულ კამპანიას - „მე თქვენ მიყვარხართ“ უკავშირებს.

„ 5 ათასამდე ადამიანი ჩაერთო ერთი წლის წინ ამ კამპანიაში. სოციალურ ქსელში ერთმანეთს სიყვარულს უცხადებდნენ და საკუთარ „კედელზე“ ყოველ დილით წერდნენ ჯადოსნურ სიტყვებს - „მე თქვენ მიყვარხართ“. წლის ბოლოს კამპანიის მონაწილეთა გარკვეული ჯგუფი თბილისში შევიკრიბეთ და სწორედ იქ შევთავაზე მათ ახალი იდეა, რომ ,,სიყვარულის ხეივნები" გაგვეშენებინა.“ – გვესაუბრება იზა ვეფხვაძე.

აქციის ფარგლებში, ხეივნების გაშენების

მსურველები ქმნიან საინიციატივო ჯგუფს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით ზრუნავს ადგილის გამოყოფაზე. აუცილებელია, ხეივანი გაშენდეს დაცულ ადგილზე, სადაც რომელიმე ორგანიზაცია იზრუნებს ნერგების მოვლა-პატრონობაზე.

კამპანიაში ჩართვის სურვილი უკვე არაერთმა რეგიონმა, ქალაქმა და სოფელმა, სკოლამ და უმაღლესმა სასწავლებელმა გამოთქვა. მათ შორის არიან ხარაგაულის ბაზალეთის,ბორის, წყალაფორეთის, მარელისისა და ზვარის საჯარო სკოლები.

„სიყვარულის ხეივნების“ გაშენება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქტიურ ფაზაში მარტის დასაწყისიდან შევა.

ჩეზო თაბუკაშვილის დაბადების 90 წლისთავი ფაქთო მასშტაბით აღინიშნება

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ინიციატივითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით წელს სახელოვანი ქართველი მამულიშვილის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, მწერლისა და კინემატოგრაფისტის რეზო თაბუკაშვილის დაბადების 90 წლისთავი აღინიშნება. ამის შესახებ ინფორმაცია ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, მოგვაწოდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენციაკონკურსი ორ ტურად ჩატარდება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სახელოვანი ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე უნდა დაწერონ თხზულება(7-10გვ).

ნამუშევრები აპრილის ბოლომდე უნდა მიეწოდოს ჟიურის ელექტრონულ ფოსტაზე (dolidze1934@mail.ru) ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N40, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პირველი ტურის შედეგები ნაშრომის გაგზავნიდან ორ კვირაში გამოცხადდება. აღსანიშნავია, რომ კონკურსის მეორე ტური 3-4 ივნისს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ჩატარდება. მოსწავლეები აუდიტორიის წინაშე წარადგენენ თავიანთ თხზულებას თანმიმდევრული დასაბუთებული თხრობით და მკაფიო მეტყველებით, სცენაზე დგომისა და ქცევის კულტურით. გამარჯვებულებს კი სპეციალურად შერჩეული ჟიური გამოავლენს, რომლებიც ჩოხოსან რაინდთა დასის დაარსების მე-12 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ფასიანი და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდებიან. საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც რეზო თაბუკაშვილის შთამომავლები, ასევე ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები. აღნიშნული ღონისძიება 15 დეკემბერს თბილისში მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართება.

ლელა გუგულაშვილი

სოფელ საღანძილეში ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლი დაიწვა

15 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საღანძილეში ხანძრის შედეგად ვეფხვია კაპანაძის სახლი დაიწვა. სამწუხაროდ, საცხოვრებელ სახლში ვერაფრის გადარჩენა მოხერხდა. ექვსსულიანი ოჯახის წევრებიდან არავინ დაშავებულა. ცეცხლის ლოკალიზება ხარაგაულის სახანძრო-სამაშველო სამსახურმა უზრუნველყო. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია. აქვე იმყოფებოდნენ საღანძილის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე და გამგებლის წარმომადგენელი საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში კობა ყრუაშვილი.

ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზად საშეშე ღუმელს ასახელებენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, თეიმურაზ ჩხეიძის, ინფორმაციით, დაზარალებული ოჯახი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 500 ლარს მიიღებს.

დეპუტატმა დავით კიკნაძემ და გამგებლის წარმომადგენელმა კობა ყრუაშვილმა დაზარალებულებს პირველადი მოხმარების ნივთები გადასცეს. ოჯახს, ასევე საკვები პროდუქტებით დაეხმარა ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ (დირექტორი გოგიტა ჩიჩილიძე).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ ვეფხვია კაპანაძის ოჯახს. მათ საკმაოდ მძიმე ეკონომიურ პირობებში უწევდათ ცხოვრება და ამ ყველაფერს საცხოვრებელი სახლის პრობლემაც დაემატა.

ვეფხვია კაპანაძეს ოჯახში დედა, მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს,“ გამგეობის შენობის პირველ სართულზე.

ტელ: 0 433 22 32 25; 598-90-00-81

„Worknet-ის” დასაქმების პროგრამის ფარგლებში ხარაგაულში სასწავლო ცენტრი შეიქმნება

„Worknet-ის“ დასაქმების პროგრამის ფარგლებში ხარაგაულში სასწავლო ცენტრი შეიქმნება, სადაც დაინტერესებული პირები სხვადასხვა სპეციალობის შემსწავლელ კურსებს უფასოდ გაივლიან. პროექტი ხარაგაულში არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი ხარაგაულის“ ხელმძღვანელის, რუსუდან გურგენიძის, ინიციატივითა და დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის მხარდაჭერით ხორციელდება.

პროგრამაში ჩართვა 16 წელს ზემოთ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება, რომლებიც რეგისტრაციას მარტის დასაწყისში ხარაგაულის სოციალური მომსახურების სააგენტოში გაივლიან. უპირატესობა გსმ და სოციალურად დაუცველ პირებს, ასევე მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მიენიჭებათ.

რუსუდან გურგენიძის ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება, აიტ- სპეციალისტის, კომპიუტერული ქსელების მოწყობის, ბიზნეს ადმინისტრირების, მკერავ - დიზაინერისა და ტურ-ოპერატორის სასწავლო კურსების გავლა. სწავლების პროცესი სამთვიანი იქნება და დასრულების შემდეგ მსმენელები დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის სერტიფიკატს მიიღებენ. ჯგუფების დაკომპლექტების შემდეგ, პედაგოგების გადამზადებასა და საჭირო ნივთებით აღჭურვაზე აკადემია იზრუნებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
599- 851- 600; 555- 136- 153.
რუსუდან გურგენიძე
E-mail – ruso.gurgenidze@mail.ru

თამარ მაღრაძე

მსხვილფეხა -რქოსან პირუტყვთა ხელოვნური განაყოფიერება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაზაფხულიდან დაიწყება

მსხვილფეხა-რქოსან პირუტყვთა ხელოვნური განაყოფიერება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაზაფხულიდან დაიწყება. ამის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა, ბონდო კიკნაველიძემ, მოგვაწოდა. მისივე განმარტებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროგრამის მხარდასაჭერად 5 ათასი ლარი გამოიყო, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ყველა საჭირო ინვენტარის შეძენა.

დაინტერესებულ პირებს ვეტექიმი ადგილზე მოემსახურება, რომელიც გადამზადების კურსს თბილისში, „კავკასიის გენეტიკის“ ცენტრში, გაივლის. ხელოვნური განაყოფიერების ღირებულების 50% -ს მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყოფს.

„ჩვენი მთავრობის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის აღორძინებაა. სწორედ ამ მიზნით ხორციელდება ეს პროგრამა. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად საქონლის ჯიში უმჯობესდება და პროდუქტიულობაც მატულობს. სერვისი მრავალწლიანია და იგი არაერთ მუნიციპალიტეტში (ზესტაფონი, ბაღდათი, ვანი, თერჯოლა და სხვა) წარმატებით ხორციელდება,“ - განმარტავს ბონდო კიკნაველიძე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის უფროსი პროექტის მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ნიკოლოზ თოფურიძეს.

თამარ მაღრაძე

იურიდიულმა კომისიამ ახალი ფრაქციების შექმნის თაობაზე უარყოფითი დასკვნა გასცა

10 თებერვალს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრებმა ახალი ფრაქციების - „თავისუფალი არჩევანისა“ და „დემოკრატების“ -შექმნის შესახებ იმსჯელეს.

„თავისუფალი არჩევანის“ შექმნას გელა გოლუბიანი, მერაბ ღონღაძე და ვლადიმერ ბუაჩიძე ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს ითხოვდნენ. რაც შეეხება ფრაქცია „დემოკრატებს“, მისი შექმნის სურვილი უშანგი ბერაძემ, გიორგი ლაცაბიძემ და რომან შერგელაშვილმა გამოთქვეს.

ფრაქციების შექმნას საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი , უკანონოდ მიიჩნევს და არგუმენტად საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლს იშველიებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცალსახადაა გაწერილი ფრაქციის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ფრაქციის შექმნის მსურველთა უმრავლესობა არჩეული არის საარჩევნო ბლოკის მიერ და ამასთანავე არიან უპარტიოები, კანონის შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, გაერთიანდნენ მხოლოდ წარმდგენი ბლოკისა და ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფრაქციაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციების პოლიტიკური პლატფორმა ბუნდოვანი და არასრულყოფილია.“

იურიდიულმა კომისიამ ფრაქციების შექმნის თაობაზე უარყოფითი დასკვნა გასცა. საკითხს უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განიხილავენ. იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა კომისიის დასკვნას გაიზიარებს, ახალი ფრაქციები არ შეიქმნება.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12